



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 196/ს
02/05/2023

196-21-4-202305021752



ქ. რუსთავში შპს „პეტრო პლუსის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „პეტრო პლუსის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 02.03.01.599; ფართობი: 740 072 მ²) ნაწილზე (300 მ²), რომელსაც შპს „პეტრო პლუსი“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ავტოგასამართი სადგურის განთავსების GPS კოორდინატებია: X-496022.210, Y-4601598.822; X-496000.178, Y-4601578.545; X-495997.480, Y-4601596.242; X-496012.769, Y-4601610.315; X-496018.833, Y-4601603.836. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 916 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შემდეგი ობიექტების მოწყობა: ნავთობპროდუქტების საცავი, საწვავის მარიგებელი სვეტი (ორმხრივი), შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემკრები ღარი, სალექარი და სახანძრო ინვენტარი. ნავთობპროდუქტების საცავი წარმოადგენს ცილინდრული ფორმის ჰორიზონტალურ, 40 მ³ მოცულობის მქონე ლითონის რეზერვუარს, რომელიც წინასწარ გაიტვიხრება ორ თანაბარ ნაწილად, საიდანაც 20 მ³ მოცულობით განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისთვის, ხოლო 20 მ³ მოცულობით - ბენზინის საწვავისთვის. რეზერვუარი განთავსდება მიწისქვეშა ქვაბულში, ბეტონის ფილაზე. ქვაბულის ზედაპირზე დაიდება ბეტონის მონოლითური ფილა, რომელზეც დამონტაჟდება 25 მეტრი სიმაღლის საწვავის მარიგებელი სვეტი. საპროექტო რეზერვუარი აღიჭურვება სასუნთქი სარქველით (სიმაღლე - 3 მ დიამეტრი - 0.05 მ). ავტოგასამართი სადგური იქნება თვითმომსახურების, შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე სხვა დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ

არის. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორია დაიფარება ბეტონის საფარით, ხოლო საწვავის მარიგებელ სვეტზე მოეწყობა გადახურვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე წლის განმავლობაში დაგეგმილია ჯამურად 2 000 000 ლიტრი საწვავის რეალიზაცია (1 000 000 ლიტრი დიზელი და 1 000 000 ლიტრი ბენზინი). სარეალიზაციო საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით, რისთვისაც 4-5 დღის განმავლობაში განხორციელდება 1 სატრანსპორტო ოპერაცია. ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრების მიზნით, მოეწყობა შემკრები ღარი, რომელიც დაკავშირებული იქნება 500 ლიტრი ტევადობის მქონე სალექართან. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ასევე შეიკრიბება ზემოაღნიშნულ სალექარში, საიდანაც ჩაშვებული იქნება საწარმოს სამხრეთით მდებარე სანიაღვრე არხში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნას ადგილი ექნება როგორც ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები განთავსდება ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მითითებულ ადგილზე, ხოლო ლითონის ჯართი, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება ობიექტის ფუნქციონირების პროცესში სალექარში დაგროვილ შლამს, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წლის განმავლობაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა უმნიშვნელოა და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. ამასთან, ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარი განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ.) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებული იქნება ობიექტის ტერიტორიაზე და იშვიათად გასცდება ავტოგასამართი სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა და ექსპლუატაცია, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე. ვინაიდან, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა არ საჭიროებს

მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს, რაც გაგრძელდება დაახლოებით 1.5 თვის განმავლობაში, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება დროებითი და უმნიშვნელო. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირება არ უკავშირდება ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების გამოყენებას, ობიექტის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია უკვე ათვისებულ, ტექნოლოგიურად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. ობიექტის სიახლოვეს არ არის ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არ ფიქსირდება ანალოგიური ტიპის ობიექტ(ებ)ი, შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში შპს „პეტრო პლუსის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „პეტრო პლუსი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პეტრო პლუსს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პეტრო პლუსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს
საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12
კმ.№6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის
ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო